ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7711911

ნომერი: AR11117327

თარიღი : 14.11.2025

გაცემის თარიღი : 21.11.2025

გაცნობის თარიღი : 24.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის მე-4 მ/რ , კორპუსი N36 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კლიმენტ წულაია პ/ნ 29001001415
- მედეა ჩახავას 9 ბინა 21

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი კოდი: 405233242

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 14 ნოემბერს №AR11117327 განცხადებით მომართა კლიმენტ წულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით №01.14.16.008.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7671089 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2025 წლის 03 ნოემბრის №7688580 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 6924.6 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 3402 კვ.მ., საოფისე ფართობად 505.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1020.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 770.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1204.2 კვ.მ., ასევე, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა დამხმარე ფართობი 21.1 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 234.7 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, მე-2 და მე-10 სართულების გეგმებისა) ჩანაცვლდა №AR11113836 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული გეგმებით.

სამსახურის 2025 წლის 13 ნოემბრის №7702119 ბრძანებით კვლავ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 6898.6 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად 1178.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 770.1 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR11116163 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული გეგმებით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობად 1020.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1024 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6898.6 კვ.მ-ის ნაცვლად 6901.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ– ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6901.7 კვ.მ.,საზაფხულო ფართობად 1024 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685, 2025 წლის 03 ნოემბრის №7688580 და

2025 წლის 13 ნოემბრის №7702119 ბრძანებებთან ერთად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.